საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 02

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2009 წ.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის
დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წლის 22 სექტემბრის №162 ბრძანებისა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი (**დანართი 1**).

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“;

3. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესი ამოქმედდეს 2009 წლის 05 ოქტომბრიდან.

4. 2009 წლის 05 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის №13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესი“.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს მისი გამოქვეყნედბიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) ;

წარმომაგენლობითი საბჭოს სპიკერი ვ. შამილაძე

დანართი 1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. სწავლის საფასური

1. სწავლის საფასური არის რსუ-ს ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი) იხდის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.
2. სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტს ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტო გრანტს.
3. ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი იხდის განსხვავებას სასწავლო გრანტის ღირებულებასა და სწავლის საფასურს შორის.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის ფორმა

1. სწავლის საფასურს იხდის სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი), ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტის სწავლის საფასურს აანაზღაურებს დადგენილი წესის შესაბამისად სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტის პროცენტული ოდენობის მიხედვით.
2. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება რსუ-ს მომსახურე საბანკო დაწესებულებაში;
3. სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარისწორების ფორმით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს მის მიერ რსუ-ს მომსახურე ბანკში სწავლის საფასურის შეტანასა და რსუ-ში დარეგისტრირებას სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.
5. სტუდენტის რეგისტრაციის სხვა პირობები და წესი საჭიროების შემთხვევაში დამატებით განისაზღვრება რსუ-ს აქტით.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველი

1. პირის მიერ სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეძენა, მასთან გაფორმებული ხელშეკრულება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატი აბიტურიენტის მიერ ეროვნული გამოცდების გავლისა და სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ.
2. სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში აისახება, რომ რსუ-ს სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 4. სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები და სწავლის საფასურის გადახდის ვადები

1. სტუდენტი ვალდებულია დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს რსუ-ს მიერ დადგენილი სწავლის საფასური ან დაფაროს განსხვავება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სასწავლო გრანტსა და რსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის.
2. სტუდენტმა ყოველი სასწავლო წლისათვის სწავლის საფასური უნდა გადაიხადოს სემესტრულად, შემოდგომის სემესტრის დასაწყისიდან ერთი თვის ვადაში სწავლის საფასურის 50 %, ხოლო დარჩენილი 50% გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

3.. სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება რსუ-ს ადმინისტრაციული აქტით;
4. სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან სხვა საფუძვლით რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური უკან არ დაუბრუნდება;
5. სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება ასევე აკადემიური შვებულების აღების შემთხვევაში, თუმცაღა ჩაეთვლება გადახდილად შვებულებიდან დაბრუნების შემდგომ პერიოდში.
6. აღდგენის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.
7. პირადი განცხადების საფუძველზე რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან 45 დღისა, სტუდენტს დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური;

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები

1. რსუ-ს სტუდენტი (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტურანტურის) თუკი შესაბამისი სწავლის საფეხურის ყოველი სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის სწავლის საფასურს სრულად, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის ვადით. ამ ვადის უშედეგოდ გავლის შემთხვევაში კი შეუწყდება რსუ-ს სტუდენტის სტატუსი და სასწავლო ხელშეკრულება;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რსუ-ს საფინანსო სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შესაბამისი წარდგინებით მიმართავს რექტორს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა ან შეწყვეტის (გარიცხვის) შესახებ ბრძანების გამოსაცემად“.

მუხლი 6. შეღავათები სწავლის საფასურში

1. რსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ მშობლების მზრუნველობას მოკლებული (დედ-მამით ობოლი) სტუდენტები, რომლებიც საერთოდ თავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადასახადისაგან.
2. დაუშვებელია სტუდენტთა მიმართ რაიმე სახის ინდივიდუალური შეღავათების დაწესება სწავლის საფასურის გადახდისას, გარდა ამ წესით დადგენილი შემთხვევებისა.
3. რსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიხედვით, ფრიადოსანი სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები.
4. შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და შეღავათების განხორციელების წესს, შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათების მინიჭების შესახებ.

მუხლი 7. სწავლის საფასური სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლისათვის

სტუდენტის მიერ, მისივე გამოწვეული მიზეზით საგნის (კრედიტების) განმეორებით ათვისების საჭიროების შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რომელი საფეხურის საგანმანათლებელო პროგრამის სტუდენტია (პროფესიულის, ბაკალავრიატის,

მაგისტრატურისა თუ დოქტორანტურის) და რას შეადგენს მისი სწავლის ღირებულება (ტარიფი), სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ყველა სტუდენტი, რომელსაც რსუ-ს წინაშე გააჩნია გასული სემესტრის სწავლის საფასურის ნებისმიერი ოდენობით დავალიანება, ვალდებულია სრულად გადაიხადოს იგი 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში რსუ-ს ადმინისტრაცია მოქმედებს ამ წესის მე-4-5 მუხლების შესაბამისად.

3. სტუდენტს, რომელსაც რსუ-ს მიმართ გააჩნია ფინანსური დავალიანება, მაგრამ უკვე მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) ან გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამა, ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე არ მიეცემა დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის მოსმენის შესახებ.